პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ოქტომბერი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 241 (14845)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

მხარი დავუჭიროთ კალინინისა და ნოვგოროდის ოლქების სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას, რომ დაჩქარონ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და ათვისება და გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 132 მოძრავი მექანიზებული რაზმისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივებმა მხარი დაუჭირეს კალინინისა და ნოვგოროდის ოლქების სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სკკპ მომავალი XXIV ყრილობის, აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. მათ გადაწყვიტეს ვადამდე, 1970 წლის 1 დეკემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ 91 მილიონი გრძივი მეტრი პროდუქციის საწარმოო სიმძლავრენი, 5.500 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2 მილიონი გრძივი მეტრი პროდუქცია, 1970 წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით აითვისონ 150 ათასი მანეთი, 1971 წელს ვადამდე აამოქმედონ 95 მილიონი გრძივი მეტრი ტექნიკური ლენტისა და 91 მილიონი გრძივი მეტრი დაწნულ ნაკეთობათა საწარმოო სიმძლავრენი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 132 მოძრავი მექანიზებული რაზმისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივების ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს კალინინისა და ნოვგოროდის ოლქების სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის მხარდასაჭერად.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები, „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველო ვალდებული არიან განიხილონ № 132 მოძრავი მექანიზებული რაზმისა და ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივების ვალდებულებანი და უზრუნველყონ მათი დროულად დაკომპლექტება საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და მოწყობილობით. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა მხარი უნდა დაუჭირონ ზემოაღნიშნული კოლექტივების ვალდებულებებს, ფართოდ გაშალონ საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მოხმარების საქონლის ახალი საწარმოო სიმძლავრეების დაჩქარებული ამოქმედებისა და მოქმედი სიმძლავრეების უკეთ გამოყენებისათვის. (საქდესი).

კომუნისტის დიდი პასუხისმგებლობა

PRAVDA

14 ოქტომბრის მოწინავე

ქვეყნის ყველა კუთხიდან ამ დღეებში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვეს საბჭოთა მშრომელებმა ხუთწლედის უკანასკნელი წლის ფინიშზე. და ყოველ ამ წარმატებაში ჩაქსოვილია დიდი და დაძაბული მუშაობა ქალაქისა და სოფლის პარტიული ორგანიზაციებისა, კომუნისტებისა, რომლებიც ხიტყვითა და საქმით, პირადი მაგალითით მშობლიური პარტიის XXIV ყრილობისათვის მზადების დღეებში მასების ეიფორიას წარმართავენ ტექნიკური პროგრესისათვის, რეზერვების გამოყენებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

იყონ შრომითი მიღწევების ავანგარდში, ბეჯითად და მიზანმიმართულად იბრძოლონ წესისვლის ხელმეძღვანელი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. — ასეთია მთავარი თემა საახგარიშო-საარჩევნო კრებებისა, რომლებიც ახლა მიმდინარეობს ქვეყნის საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებში. აი მხოლოდ ერთი მაგალითი.

ჯერ კიდევ აგვისტოს დასასრულს ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური ძარღვეულის მიხედვით დაიწყო ბუთულედი ძოსკოვის ელექტროვაკუუმის ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივმა. ოთხი ათასამდე მუშაკმა შეასრულა პირადი ბუთწლიანი დავალებანი ოთხწელიწადნახევარში. კომუნისტ ვერა დმიტრიევას ინიციატივით აქ ფაოთოდ გავრცელდა მოძრაობა დევიზით „ოც ერთი დღე უეკონომიოდ“. ძაგრან ადამიანები მომავალს ჭვრეტენ, და ქარხნის ნაამქროებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრშია წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხები, ძველმოძველობის შემდგომი ზრდის რეზერვები, თვითეული სასუშაო ადგილზე შრომის უადლესი ეფექტიანობისათვის შეჯიბრების გაჩაღების გზები. მწვავედ და პრინციპიულად ისმება ის ამოცანა, რომ რაც შეიძლება ძალე განახორციელონ ყველა რაიონალური წინადადება 3600 წინადადე

1. კამათი გრძელდება

ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმოა. მიუხედავად ამისა, ქარხნის პროდუქციამ ფართოდ გაითქვა სახელი. ბათუმური მარკის ელექტროფრაკები და ელექტროსაწევრები იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ალჟირში, ვიეტნამში, ტუნისში, პაკისტანში, ინდოეთში. ყოველწლიურად იზრდება ექსპორტის გეოგრაფია.

ქარხანაში ბევრი რამ კეთდება პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად და საექსპლოატაციო ვადის გასაგრძელებლად.

ბოლო ხანებში ქარხნის კოლექტივმა აწყო გაუმჯობესებული ელექტროფრაკის საცდელი ნიმუში, რომელიც სათში 22 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს და უკეთესი მანევრირება აქვს. ხუთწლედის უკანასკნელი წლის 9 თვეში საწარმომ გეგმის გადამეტებით 70 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

საწარმოს საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტებს, რომლებიც გაერთიანებული არიან უბნებთან შექმნილ პარტიულ ჯგუფებსა და საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში.

ელექტრომექანიკური უბნის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. აბრამიძემ საინგარიშო მოხსენებაში ილაპარაკა კომუნისტების მრავალმხრივ მოღვაწეობაზე. მან მოიყვანა ასეთი საგულისხმო მაგალითი: ელექტრომექანიკოსმა პ. ცელემენტიდიმ ითავა საექსპლოატაციოდ უვარგისი ცვლადი დენის გამმართველი აპარატის აღდგენა. მას მხარში ამოუდგა მთელი უბანი. მალე აპარატი გამართულ იქნა, რითაც შეიცვალა სამი დამმუხტავი გენერატორი. ამით ქარხანამ ფულის დიდი ეკონომია გაწია და 9 თვეში 44 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. აღინიშნა ნაკლოვანებებიც. კამათის მონაწილეებმა თქვეს, რომ ყველა შემთხვევაში როდი აქვთ ტექნოლოგიური რუკა, რითაც ფერხდება დეტალების დამუშავება.

ტექნოლოგიური განყოფილების პარტიული ჯგუფის საინგარიშო-საარჩევნო კრებაზე ბევრი საუველდური მოვისმინეთ საქართველოს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს მისამართით, რომელიც არღვევს მომარაგების გეგმიან რიგს და გზავნის არასტანდარტული სახის ლითონს, ეს უარყოფითად მოქმედებს საწარმოს წარმადობაზე, ეკონომიურ ეფექტზე.

ამკრები უბნის პარტიულ ჯგუფს ხელმძღვანელობს ა. ტერატურიანი. „მეცამეტე" ხელფასი და მაღალი პრემიები აქ ტრადიციად დამკვიდრდა. გამორჩნდნენ ნოვატორებიც, რომლებმაც ელექტროქსელის ხელით დამონტაჟება შეცვალეს პაერის წნევის სპეციალური დანადგარით, რაც ხაინსტრუმენტო უბანში მოიფიქრეს და დაამონტაჟეს. უბანზე დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური მორალის განმტკიცების საკითხს. ბრიგადაში თვითნებობას იჩენდა ვ. ლაბოდენკო, რითაც ირღვეოდა შრომის რიტმი. მეგობრების ზემოქმედებამ თავისი გაიტანა. ვ. ლაბოდენკო ერთ-ერთი მოწინავე გახდა.

საანგარიშო კრებაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა მექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. სმაზნოვი. იგი შეეხო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების საკითხს. ილაპარაკა საამქროს მოწინავე ადამიანებზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ბ. ჭეონიაზე, დიდი სამამულო ომის მონაწილე ალექსანდრა ნადარეიშვილზე, ხარატებზე ა. ჯინჭველაიშვილზე, რ. ჯიბლაძეზე, თ. მახაკაძეზე და შრავალ სხვაზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საამქროს წარმატებებში. კამათის მონაწილეებმა მექანიკური საამქროს უფროსმა ნ. სიხარულიძემ. მდარავმა გ. ყორდანიამ და სხვებმა ილაპარაკეს შრომის დისციპლინის ამაღლების, იდეურ-პოლიტიკური მუშაობისა და სხვა საკითხებზე.

კომუნისტებმა გადაწყვიტეს პარტიული ჯგუფებისა და საამქროების პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აღძრულ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა გაგრძელონ საერთოსაქართველო პარტიულ კრებაზე.

მ. გორგილაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

2. ბვაარის დაუსახელებლად

ეს დღეს, როცა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო დანიშნული, კომუნისტები პირდაპირ მინდვრებიდან და ვენახებიდან მოვიდნენ. მათ თან მოიტანეს ბარაქიანი შემოდგომის სუნთქვა.

მომხსენებელმა — კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანმა ფ. თავხელიძემ კრებაზე საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მრავლისმეტყველი ციფრები მოიყვანა. მარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიპყიდა 2.330 ცენტნერი ყურძენი, რითაც დაგალება 152 პროცენტით შეასრულა. წელსაც უნდა მოსავალს მოელიან. წინასწარი შეფეგეები მოწმობენ, რომ სიმინდის მოსავლიანობის გეგმაც გადამეტებით იქნება შესრულებული.

ახლა მეცხოველეობის ფერმებში გეგმასთან შედარებით 73 სულით მეტი მსხვილფეხა პირუტყვი აყავთ. გაიზარდა რძისა და ხორცის წარმოება.

მოხსენებაში კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ანალიზთან ერთად საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი კომუნისტების ავანგარდული როლის, მათი შრომითი აქტივობის, პოლიტიკური სწავლების, საგაზეთო მუშაობის საკითხებს.

და მაინც მოხსენება მეტ წილად ხხოლოდ დადებითი მაგალითებით იყო შედგენილი. ხოლო როცა მომხსენებელი რაიმე ნაკლზე მუთითებდა, აქ უკვე პირდაპირობას აღარ იჩენდა, ზოგად ფრაზებს ხეჯრიდებოდა.

მაგალითად, პარტბიუროს მდივანმა ხხაპასუხანი ჩამოთვალა მოწინავე აგიტატორთა გვარები, ჩამორჩენილთა კონკრეტულად დასახელებას კი მოერიდა და კრებას განუცხადა: „ასევე როდი ითქმის ზოგიერთ აგიტატორზე, რომლებიც იმვითავად მართავენ საუბრებს და არ უშვებენ საველი გაზეთებს". ან კიდევ, როცა კომუნისტების ავანგარდულ როლზე ილაპარაკა, რატომღაც არ დაასახელა ის კომუნისტები, რომელთა ოჯახის წევრები იმვითავად მონაწილეობენ ამ სულაც არ იღებენ მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში.

სწორედ ამიტომ რაც მომხსენებელს გამორრა, მოკამათეებმა თქვეს.

კამათში პირველად გამოსულმა მეცხოველეობის ფერმის გამგემ ბ. წიქარიძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ მართალია, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები გადამეტებით სრულდება, მაგრამ ეს დიდ ფასად უჯდება კოლმეურნეობას და მეურნეობას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ხვანთქარ ბეჯითი მეურნის ანგარიშით მუთხრო კრებას ეკონომიკის წამყვან დარგებში გაწეულ მუშაობაზე. ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ფურძნის წარმოება ერთისამად გაიზარდა. შარშან გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. იმატა პირუტყვის სულადობამ და პროდუქტიულობამ. მაგრამ თავმჯდომარე აქ უკვე დაეთანხმა წინა ორატორს და თვითკრიტიკულად აღიარა, რომ გამგეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მეცხოველეობის რეტაბელობას. შარშან, მაგალითად, მოგების ნაცვლად მეცხოველეებმა ზარალი ნახეს. ამავე დროს, კი, როგორც მან თქვა, კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს საკუთარი ძაღვები ბაზის გადიდებისა და მეცხოველეობის რენტაბელურად [illegible] ინტენსივისათვის.

საკმაოდ [illegible] იყო ეფექტანი კოლმეურნის ნ. არწივიძის [illegible] „[illegible] კოლმეურნეობის, — აღნიშნა მან, — ბევრი მოწინავე ადამიანი კაცს, მაგრამ პარტბიურო სუსტად მუშაობს უპარტიო აქტივთან. ამიტომაც არის, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგებში მხოლოდ ერთი კოლმეურნეა მიღებული. ამ მხრივ საქმე უკეთესად არც კომკავშირულ ორგანიზაციაშია.

ორატორმა იმაზეც მიუთითა, რომ პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე საკითხების მომზადებასა და განხილვაში ყოველთვის ადამიანთა ერთი და იგივე ჯგუფი მონაწილეობს, ხოლო დანარჩენები აქტივობას არ იჩენენ.

სიტყვით გამოსულებმა ბრიგადირმა ჯალმა მ. მოთაძემ, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ დ. მინაძემ, მეგენსაფლის მ. ჯიბავაძემ, პ. შალამბერიძემ და სხვებმა ყურადღება გამამახვილეს საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის განმტკიცების, რთველის ორგანიზებულად ჩატარებისა და მოსავლის უდანაკარგოდ აღების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებზე.

შ. ჯავახაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხისათვის

(დასასრული)

სამხედრო კონფლიქტების კერები, განამტკიცონ მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკების შედეგებს მოიწონებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი რვა დღის ვიზიტის განმავლობაში ყოველდღიურად რაც შეიძლება ფართოდ გვიჩვენებინა თქვენთვის საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეროცა ჩვენს ქვეყანას ეცნობოდით, თქვენ ალბათ დარწმუნდით, თუ რამდენად დიდია საბჭოთა ადამიანების სურვილი განამტკიცონ და განვითარონ მეგობრობა ფრანგ ხალხთან, რამდენად მკაფიოდ გამოვლინდა მათი გულწრფელი სიმპათია და ინტერესი საფრანგეთისადმი, გულწრფელი პატივისცემა პირადად თქვენდამი, ბატონო პრეზიდენტო. თქვენმა განცხადებებმა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, კეთილმა სიტყვებმა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის შესახებ ეოცხალი გამოძახილი ჰპოვეს საბჭოთა კავშირში.

დიდი მნიშვნელობით უნდა აღვნიშნო — და ეს ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის, ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინისა და სხვა საბჭოთა ამხანაგების აზრიც არის, — რომ თქვენთან მოლაპარაკებასა და საუბრებს ყოველთვის ახასიათებდა გულითადობა და გულახდილობა. ჩვენი პირადი კონტაქტების დროს კიდევ უფრო განმტკიცდა ურთიერთგაგება და ნდობა. მათ განვითარებაში, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა ხალხის და ფრანგი ხალხის მეგობრობა და ძირეული ინტერესების თანხვდომის დიდი ხნის ტრადიციები, — ფართო პერსპექტივები აქვს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა შორს პომპიდუმ.

ქ. პომპიდუს სიტყვა

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მეტად კმაყოფილია ვიზიტით, რომელიც მთავრდება, და თქვა:

— ჩვენი მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპმა გაგვაცნო თქვენი დიდი და მშვენიერი ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრების ზოგიერთი მხარე. ალტაიდან ყარა თქვენი მეცნიერების შემოქმედებითი გენიითა და მძლავრი ტექნიკით. აქ ჩვენ ისე კულთურადად შეგვხვდნენ, როგორც ჩვენთან მეგობრების შეხვედრა. გულის სიღრმეში ჩაგვწვდა საფრანგეთისადმი კარგი გრძნობების გულწრფელად გამოხატვა. ყოველივე ეს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კარგი ურთიერთობის ცოცხალი, ადამიანური დადასტურებაა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა შეესაბამება საბჭოთა კავშირის ღრმა მისწრაფებებს, ისევე როგორც, გარწმუნებთ, შეესაბამება ფრანგების მისწრაფებებსაც. ყოველივე ეს მახარებს, რადგან ადასტურებს ჩემს რწმენას, რომ ჩვენს თანხმობას მტკიცე საფუძვლები აქვს.

კმაყოფილი ვარ აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი საუბრებით ბატონ ბრეჟნევთან, ბატონ პოდგორნისთან და ბატონ კოსიგინთან. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობისა და თანხმობის პოლიტიკა ორივე ქვეყნის მუდმივი პოლიტიკაა და შეესაბამება მათს ინტერესებს. საფრანგეთმა, რომელიც უარს არ ამბობს თავის სხვა კავშირებზე და ესწრაფვის მჭიდრო თანამშრომლობას მისთვის ყველაზე ახლოხელ ევროპულ სახელმწიფოებთან, გადაწყვიტა გაფართოოს კონტაქტები და გაიცვალა საბჭოთა კავშირთან; მან გადაწყვიტა დაიწყოს თქვენთან დიალოგი ევროპის სახელმწიფოთა მორიგებისა და დაახლოების დიდი ამოცანის განხორციელების საშუალებათა შესახებ, აგრეთვე მსოფლიოს პრობლემათა შესახებ, რათა ჩვენმა ქვეყნებმა ერთმანეთს აღნიშნონ ხოლმე თავიანთი აზრები და ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, საერთო ღონისძიებებით შეუწყონ ხელი მშვიდობის აღდგენას თუ განმტკიცებას. ასეთია საფრანგეთის პოლიტიკა.

დაახლოების ეს პოლიტიკა თანაბრად კეთილნაყოფიერია ჩვენი ქვეყნებისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მოლაპარაკების დასასრულს ახალი სტიმული მივანიჭოთ ჩვენს ურთიერთობას.

ეკონომიკის დარგში, სადაც ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ჩვენი ურთიერთობა უკვე მნიშვნელოვნად განმტკიცდა, ჩვენი საერთო გეგმები მომავლისათვის განსაკუთრებით ფართოა, რადგან მათი მიზანია დამოუკიდებლად, ან სხვა ქვეყნებთან ერთად, შეეიტანოთ საფრანგეთის მრეწველობის წვლილი მსხვილი სამრეწველო კომპლექსების შექმნაში, და რადგან ეს გეგმები ითვალისწინებენ აგრეთვე, რომ მნიშვნელოვნად გაეადიდოთ საბჭოთა ნედლეულისა და საბჭოთა მრეწველობის ნაკეთობათა შესყიდვები. ჩვენ აგრეთვე მტკიცედ გვაქვს განზრახული განვავითაროთ თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, თანამშრომლობა, რომელსაც უკვე მოგახმაროთ დიდი ღონისძიებანი და რომელსაც ბრწყინვალე შედეგი მოჰყვა, მაგალითად, მაღალ ენერგიათა ფიზიკის დარგში.

ჩვენ შევთანხმდით გაგაფართოოთ გაცვლა კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში, სადაც საფრანგეთი და რუსეთი ტრადიციით კარგად იცნობენ ერთმანეთს და ესმით ერთმანეთისა. ჩვენი ქვეყნები აგითარებენ საპაერო და საზღვაო კავშირს და გადაწყვიტეს, რომ ჩვენ მალე გავხსნით გენერალურ საკონსულოს ლენინგრადში, ხოლო თქვენ — მარსელში.

და, ბოლოს, მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ დავასკვენით, რომ საჭიროა პოლიტიკურ დარგშიც განვამტკიცოთ თანამშრომლობა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ მიზნით შევთანხმდითთ, რომ ორივე მხარემ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა კონსულტაციები ჩვენს მთავრობებს შორის უფრო რეგულარული, სრული და ღრმა გახდეს. ამ გადაწყვეტილებას მე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იგი მახარებს და ვიცი, რომ მას გაიგებს და მოიწონებს ფრანგი ხალხი.

ჩვენ დაახლოვდა, ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნებისათვის, სასარგებლოა აგრეთვე ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის. რათა გაშტაციდეს ევროპის როლი მსოფლიოში, საფრანგეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ ევროპის ყველა ქვეყანამ ეძებოს ურთიერთგაგების გზები და თანდათან შეიგრძნონ ის, რაც მათ აერთიანებს, მიუხედავად იმ უთანხმოებებისა, რომლებიც თანდათან წაიშლება. საფრანგეთს სურდა ასეთი ევოლუციისა და ხელს უწყობდა მას თავისი ღონისძიებებით. იგი ითვალისწინებდა, რომ დაძაბულობის ამ შენელებას თანდათან მოჰყვება პოლიტიკური პრობლემების ნადაგზრა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ევროპაში. არც ამ მხრივ შეცვლილა. მისი პოლიტიკა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოება არათუ არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არამედ მიგვაჩნია, რომ ეს არის მაგალითი და წვლილი დიდ საქმეში, რომელთანაც იგი განუყრელად დაკავშირებულია. ამიტომ ჩვენ ვგულისხმობ, რომ საბჭოთა კავშირი აუმჯობესებს ურთიერთობას დასავლეთის სხვა ქვეყნებთან, ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან.

ჩემი ვიზიტი იტალია გზაზე, რომელთაც ჩვენ უკვე წარმატებით წავიწყიეთ წინ, და ჩვენს მთავრობებს მტკიცედ აქვთ განზრახული ამ გზით ბოლამდე მომაგალნენ. ამას მოჰყვება სხვა ეტაპები. შემდეგი ეტაპი, რომელსაც დიდი კმაყოფილებით და სიამოვნებით მოგელოდეთ, იქნება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა ვიზიტი საფრანგეთში. დარწმუნებული ვარ, რომ შეხვედრა, რომელსაც საფრანგეთი მოუწყობს თავის სტუმრებს, და შემდგომი პროგრესი ჩვენი ურთიერთობის განვითარებაში უზრუნველყოფს იმას, რომ ეს ვიზიტი იქნება საბჭოთა კავშირში ჩემი ახლანდელი ჩამოსვლის პასუხი და ამასთან მისი გაგრძელება.

დასასრულ მინდა გამოვთქვა დიდი იმედი, რომ თვითეული ეტაპი აღინიშნება ჩვენს შორის არა მარტო შემდგომი დაახლოებით, არამედ აგრეთვე ატმოსფეროს გაუმჯობესებით ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ჩვენი წინანდელი კონტაქტები დაემთხვა ევროპაში დაძაბულობის შენელების დაწყებას. ჩვენ ვვლავ ვხედავთ ერთმანეთს იმ დროს, როცა, ყოველ შემთხვევაში ამ დარგში, მიღწეულია გარკვეული პროგრესი, რომელიც აძლიერებს დაძაბულობის ამ შენელებას და ნებას გვაძლევს მოველოდეთ ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას ევროპის ქვეყნებს შორის. დაე განმტკიცდეს ეს პერსპექტივა, რათა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობა თანდათან გაუმჯობესდეს! არე ერთ ქვეყანას არა სურს ეს უფრო მეტად, ვიდრე საფრანგეთს. დაე ევროპის მაგალითმა გავლენა მოახდინოს კონფლიქტების მოგვარებაზე, რომლებიც ჯერ კიდევ გრძელდება ზოგიერთ რაიონში!

ნ. ვ. პოდგორნისა და ჟ. პომპიდუს სიტყვებს ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სიცოცხლის წყარო

მწვანე მშენებლობის დიდი მაკსიმალისტები

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ალსანიშნავად უნდა დაირგოს 50 მილიონი ხე, აქედან 6 მილიონი „ბუნების მეგობრის" საზოგადოების მეშვეობით. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებაა.

შემოდგომა და გაზაფხული გვიხმობს საშვილიშვილო საქმისათვის. ბუნება ყოველთვის იყო ადამიანის ჯანმრთელობისა და სიკეთის წყარო. ამიტომაც ბუნების დაცვა, მისი განახლება საერთოსახალხო საქმეა და მასზე ზრუნვა თვითეული ჩვენგანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

საქართველოს სსრ „ბუნების მეგობრის" საზოგადოების პრეზიდიუმი დიდ დიდ სამუშაოებს ახორციელებს რესპუბლიკაში 6 მილიონი ხის დარგვისათვის. ყველა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს დაეგზავნათ სამუშაო გეგმები, რომლებშიც აღნიშნულია თვითეული რაიონის გარემო პირობების გათვალისწინებით დასარგავი მასალის სია, აგროწესები, დარგვის ვადები.

მწვანე მშენებლობის ასეთი დიდი მასშტაბით წარმოება მოითხოვს დიდი რაოდენობით ხარისხოვან სარგავ მასალას. „ბუნების მეგობრის" საზოგადოებას აქვს თავისი სანერგე მეურნეობები, რომლებიც ნერგებით თითქმის მთლიანად დააკმაყოფილებენ ჩვენს ქალაქებსა და რაიონებს.

„ბუნების მეგობრის" საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა მწვანე ნარგავების გაშენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჯიშებისა და სტანდარტული ნერგების შერჩევას, აღმილობრივ კლიმატურ და ნიადაგურ პირობებს, სისტემატური მოვლით უნდა მიაღწიონ ნარგავების მთლიან გახარებას, შენარჩუნებას. მცენარეები პირველ რიგში უნდა დაირგოს მიწათმოქმედებისათვის გამოუსადეგარ ფართობებზე, ხევების, მდინარეებისა და გზების გაყოლებით.

ქალაქებსა და რაიონებში უკვე დაიწყო ხეების დარგვა. ჩოხატაურის რაიონში მწვანდება ფაცახა მთა, ხოლო ბასიანის რაიონში თითქმის გამწვანდა სოფელი ხოვლე. მწვანით შეიმოსა ახალციხის შესასვლელი ფართობები. მალე თბილისის შემოგარენი უფრო მეტი მერქნიანი მცენარეებით დაფარება. გამწვანდება კოჯრისაკენ, ტაბახმელასაკენ, აგრეთვე აეროპორტისაკენ მიმავალი გზები...

50 მილიონი ხის დარგვით კიდევ უფრო თვალწარმტაცი გახდება ჩვენი ხამშობლო, რაიონებსა და ქალაქებში გაჩნდება ახალი პარკები, სკვერები, ბაღები. საჭიროა თავიდანვე მიეცეს ყურადღება მათ მოვლა-პატრონობას, თორემ ორმოების ამოღება და ნერგების ჩაყრა არ ნიშნავს მათს გახარებას. მთავარია, როგორ მოვუვლით ამ ნერგებს, კეთილმეურნეობამ ყველა პირობა აქვს საკუთარი საკვები ბაზის გადიდებისა და მეცხოველეობის რენტაბელურად [illegible] ინტენსივისათვის.

საკმაოდ [illegible] იყო ეფექტანი კოლმეურნის ნ. არწივიძის [illegible] „[illegible] კოლმეურნეობის, — აღნიშნა მან, — ბევრი მოწინავე ადამიანი კაცს, მაგრამ პარტბიურო სუსტად მუშაობს უპარტიო აქტივთან. ამიტომაც არის, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგებში მხოლოდ ერთი კოლმეურნეა მიღებული. ამ მხრივ საქმე უკეთესად არც კომკავშირულ ორგანიზაციაშია.

ორატორმა იმაზეც მიუთითა, რომ პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე საკითხების მომზადებასა და განხილვაში ყოველთვის ადამიანთა ერთი და იგივე ჯგუფი მონაწილეობს, ხოლო დანარჩენები აქტივობას არ იჩენენ.

სიტყვით გამოსულებმა ბრიგადირმა ჯალმა მ. მოთაძემ, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ დ. მინაძემ, მეგენსაფლის მ. ჯიბავაძემ, პ. შალამბერიძემ და სხვებმა ყურადღება გამამახვილეს საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის განმტკიცების, რთველის ორგანიზებულად ჩატარებისა და მოსავლის უდანაკარგოდ აღების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებზე.

შ. ჯავახაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

ტყის მტრები — პასუხისგებაში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ტყეების დაცვის მდგომარეობაზე ახლახან იმსჯელა მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა. გამოირკვა, რომ სოფელ ქვების კოლმეურნეობაში უნებართვოდ მოჭრეს 73 კუბმეტრი ხე-ტყე. იყო აკრძალული ჯიშის — მუხის მოჭრის შემთხვევებიც.

ასევე მოხდა სოფელ ლარიხევის კოლმეურნეობაშიც. აქ 12 ძირი წაღლის ხე გაანადგურეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ჭიპაშვილმა ბარათიც კი გასცა ერთი კუბმეტრი წაღლის მოჭრაზე.

სოფელ საქასრიის კოლმეურნეობაში უნებართვოდ მოჭრილია 21 კუბმეტრი ტყე და ისიც დიდი დაქანების ფერდობებზე. ტყის მცველები უდარდელობას იჩენენ ბუნების საუნჯის დაცვაში.

რაისაბჭოს აღმასკომმა საკოლმეურნეო ტყეების დაცვისადმი უპასუხისმგებლობისათვის საყვედური გამოუცხადა სოფელ ქვების, საქასრიისა და ლარიხევის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ჯ. ჭყოიძეს, ა. წიქარიშვილს, შ. ჭიპაშვილს, ხოლო ტყის მცველებს პ. ჭყოიძის, გ. წიქარიშვილის და ბ. დეკანოსიძის საქმე გადასცა პროკურატურას.

ბ. ბ.

დეპუტატი და ცხოვრება

სასოფლო საბჭო და აქტივი

ჩვენი სასოფლო საბჭო, რომელიც მთელ თავის მუშაობაში ეყრდნობა მშრომელთა დეპუტატებს, აქტივს, ენერგიულად შრომობს იმისათვის, რომ სოფელი ჯაფარიძე გახდეს უფრო შეძლებული, ლამაზი და კეთილმოწყობილი. ამ მხრივ ბევრი კარგი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული. სოფლის სიამაყეა თანამედროვე ქართული სტილით ნაგები კულტურის სახლი. მას მხარს უმშვენებენ საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორსართულიანი შენობები. სოფელი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი გზებით, სასმელი წყლით, სატელეფონო კავშირით. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი სოფელი ქალაქს უფრო ჰგავს.

სამაყოთ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სოფლის გალამაზებისა და კეთილმოწყობის, მშრომელთა კულტურისა და ყოფაცხოვრების დონის ამაღლების საქმეში, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს სასოფლო საბჭოს, მის დეპუტატებს, აქტივს. ისინი ყველა ამ სასიკეთო დავალებას ასრულებენ დიდი შეგნებით, მონდომებითა და ხალისით.

ეს ის ადამიანები არიან, რომელთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი და საშუალო ტექნიკური განათლება, მუშაობენ საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა უბანზე, სოფლის ნამდვილი პატრიოტები არიან. 80-მდე კაცს ჩვენს სოფელში დამთავრებული აქვს უმაღლესი, ხოლო 150-ზე მეტს საშუალო სასწავლებელი. მაგრამ მარტო ცოდნა როდი ქმარა მიზნისათვის ბრძოლაში! ინიციატივა და მონდომება სოფლის საჯარო-ტო საქმეების გადაწყვეტისათვის ჩვენი დეპუტატების მთავარი თვისებაა.

ეს განსაკუთრებით იგრძნობა მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ყურადღება გამამახვილეს ადგილობრივი საბჭოების და მათი დეპუტატების როლის ამაღლებაზე. დეპუტატები, მუდმივი კომისიები ახლა გაბედულად და ავტორიტეტულად აყენებენ საქმიან წინადადებებს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე.

შარშან ერთ-ერთ სესიაზე დეპუტატმა ნ. ყოჩიაშვილმა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ნატროშვილმა დააყენეს საკითხი სოფელში ახალი ბანოს და ხევის გაღმა მოსახლეობისათვის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ. დეპუტატთა ორივე ეს წინადადება ახლა უკვე ხორციშესხმულია.

სოფელი ლონიერია საერთო ძალით

□

ზე, სოფლის ნამდვილი პატრიოტები არიან. 80-მდე კაცს ჩვენს სოფელში დამთავრებული აქვს უმაღლესი, ხოლო 150-ზე მეტს საშუალო სასწავლებელი. მაგრამ მარტო ცოდნა როდი ქმარა მიზნისათვის ბრძოლაში! ინიციატივა და მონდომება სოფლის საჯარო-ტო საქმეების გადაწყვეტისათვის ჩვენი დეპუტატების მთავარი თვისებაა.

ეს განსაკუთრებით იგრძნობა მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ყურადღება გამამახვილეს ადგილობრივი საბჭოების და მათი დეპუტატების როლის ამაღლებაზე. დეპუტატები, მუდმივი კომისიები ახლა გაბედულად და ავტორიტეტულად აყენებენ საქმიან წინადადებებს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე.

შარშან ერთ-ერთ სესიაზე დეპუტატმა ნ. ყოჩიაშვილმა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ნატროშვილმა დააყენეს საკითხი სოფელში ახალი ბანოს და ხევის გაღმა მოსახლეობისათვის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ. დეპუტატთა ორივე ეს წინადადება ახლა უკვე ხორციშესხმულია.

დეპუტატები თავიანთი მოვალეობის შესრულება ამხანაგებმა კოლმეურნე ვ. სიხარულიძემ, ბრიგადირმა ზ. სამსონიამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. სიხარულიძემ და სხვებმა ბევრი საკირბოროტო საკითხი დააყენეს საზოგადოებრივი წესრიგი. განმტკიცებისათვის, სოფლად სანიმუშო დისციპლინის დანერგვისათვის.

ყოველ ბინაში, ყოველ ოჯახში, ყოველ ადამიანში — ეს ერთ-ერთი ამოცანა ეკისრა ჩვენ, ბოლო ოცეული ოჯახი ვიყავ. ეს ოჯახი ბინა ეკუთვნოდა ბ. ბ. ბ. ... ...

მსოფლიო დღეს



მშვიდობის კურსით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესია

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესიის საიუბილეო ნაწილის მუშაობაში მონაწილეობისათვის გუშინ ნიუ-იორკში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროპორტში ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

ჩვენ ჩამოვედით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესიის საიუბილეო ნაწილზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო ასამბლეის სესიებზე აშუქებს თავის პოლიტიკას. ასე იქცევა საბჭოთა კავშირიც.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა ეს არის მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების პოლიტიკა. ეს არის მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკა და საბჭოთა მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განახორციელოს იგი. ჩვენ არავის არ მივცემთ უფლებას გადაგვახვევინოს ამ გზიდან. მაგრამ ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენს მოკავშირეებთან ერთად არავის არ მისცემს უფლებას შელახოს ჩვენი უშიშროების, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროების კანონიერი ინტერესები.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ განუხრელად, ვიმეორებთ, განუხრელად სრულდებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. ეს საბჭოთა დელეგაციის საქციოდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს ამ სესიაზე, როცა, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო აღნიშნავს მას შემდეგ განვლილ მეოთხედ საუკუნეს, რაც საფუძველი ჩაეყარა ახალ მსოფლიო ორგანიზაციას, ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა როგორც ორგანიზაციისა, რომელმაც უნდა აღკვეთოს ომები და უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა.

ყველა ჩვენი წინადადება, ისევე როგორც წინათ, ახლაც, რომლებიც შეგვაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მის ფარგლებს გარეთ, ხელს უწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების მიღწევას და ამ პრინციპების განხორციელებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპის მშვიდობას, აზიის მშვიდობას, აფრიკის მშვიდობას, ყველა კონტინენტის მშვიდობას. ასე იმოქმედებს საბჭოთა დელეგაცია გენერალურ ასამბლეაზე, შეასრულებს თავისი ქვეყნის განაწესს. გამოვთქვამთ იმედს, რომ წარმატებით იმუშავებს გენერალური ასამბლეა. ყოველი ღონისძიებით შევეწყობთ ხელს ამ წარმატებებს, კერძოდ ჩვენი კონკრეტული წინადადებებით.

ნიუ-იორკი

მ ე ო ცე

საუკუნის გარბაროსები

ნიუ-იორკი. 14 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უშუალო დამოკიდებულება აქვს სამხრეთ ვიეტნამის სოფელ სონგმის სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა-ულტაატან, რომელიც 1968 წლის მარტში მოხდა. ეს განაცხადა სონგმის ხოცვა-ულტის ერთ-ერთი მონაწილის უფროსი სერჟანტის მიტჩელის ადვოკატმა სასამართლოზე, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა ფორტპუდის სამხედრო ბაზაში (ტეხასის შტატი).

როგორც ადვოკატმა ო. ბრაუნმა თქვა, სონგმის ხოცვა-ულტა იმ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა და სამოქალაქო პირთა „დაზოცვისა და ლიკვიდაციის სისტემატური პროგრამის“ შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ახორციელებს პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებათ მათდამი თანაგრძნობანი.

ბრაუნმა სთხოვა სამხედრო ტრიბუნალს ამ საქმის მოწმედ გამოეძახათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი რ. ჰელმსი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი ე. პარკერი, რომელიც მეთაურობს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ფიზიკური მოსპობის პროგრამას. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს თხოვნა უარყვეს.

ლონდონი

გრძელდება შეტაკებანი

ლონდონი. 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ლონდონდერის კათოლიკური უბნის — ბოგსაიდის ქუჩებში კვლავ გაუშვეს შსამანი გაზი „სი-ეხი“.

ინგლისის ჯარებმა ეს გაზი გამოიყენეს ახალგაზრდობის იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მავთულხარჭოები მოეშორებინათ კათოლიკური უბნებისათვის. ქალაქში გრძელდება პროტესტანტი ექსტრემისტებისა და კათოლიკების შეტაკებანი.

რამდენიმე კაცი დაიჭრა. ვითარება ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ამჟამად იმყოფება 9 ათასი ინგლისელი ჯარისკაცი, კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც აფეთქება მოხდა ბელფასტ-დუბლინის ხაზზე არმის საარეფოში რკინიგზის ეკიპაჟი.

ბონი

კანცლერის განცხადება

ბონი. 13 ოქტომბერი. (საკდესი). **გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, კანცლერმა ვ. ბრანდტმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა მოვლენებისათვის, რომელთა გამო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციიდან გამოვიდა სამი დეპუტატი და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციაში გადავიდა, ეკისრებათ იმათ, ვისაც სურს ხელი შეუშალოს დაძაბულობის შენელების პოლიტიკას და გააქარწყლოს სტაბილურობის განმტკიცების ღონისძიებანი.**

გამოვიდა რა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომაზე, ბრანდტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიცია შენარჩუნებული იქნება პარლამენტის მთელი უფლებამოსილების პერიოდში, ესე იგი 1973 წლამდე. კვლავინდებურად ორიგე პარტიორს კოალიციაში მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგის ამოცანები გადაწყვიტონ მათ მიერ შემოთავაზებული მთავრობის პროგრამის შესაბამისად.

საჭიროა, განაცხადა ვ. ბრანდტმა, საკადრისი პასუხი გავცეთ თავდასხმებს ფეოდალურ მთავრობაზე და განუხრელად განვაგრძოთ მთავრობის კოალიციის საქმიანობა.

როგორც დპას საგანგებო ოუწყება, ბრანდტმა ალრეთვე ღონიძიება, რომ ბუნდესტაგში ძალთა თანაფარდობა სრულებითაც არ შეიცვლილა მას შემდეგ, რაც სამი დეპუტატი თავისუფალი დემოკრატიული პარტიისგან გადადგა ოპოზიციური პარტიის ფრაქციაში, რადგან ისინი წინათაც არ უჭერდნენ მხარს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობას.

ოტავა

გაიტაცეს... მინისტრი

ოტავა. 13 ოქტომბერი. (საკდესი). **მონრეალში მოიტაცეს კვებეკის პროვინციის შრომის მინისტრი პ. ლაპორტა და ინგლისის სავაჭრო მისიის თანამშრომელი ჯ. კრისი.** როგორც საინფორმაციო სააგენტოები ეუწყებიან, გამტაცებლებმა სეპარატისტული ორგანიზაციის „კვებეკის განთავისუფლების ფრონტის“ წევრებმა ხელისუფლებს წაუყენეს მთელი რიგი პირობები მძიმეადოა განთავისუფლებისათვის, მათ შორის მოითხოვეს კვებეკელ სეპარატისტთა განთავისუფლება, რომლებიც ამჟამად დაპატიმრებულნი არიან.

კანადის ხელისუფალნი ეძებენ მოტაცებულებს. ეროვნული თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობისა და პარლამენტის წევრების, დიპლომატებისა და სხვა ოფიციალური პირების, ოჯახთა მთავრობის შენობების, საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების შენობების დასაცავად იყენებენ კანადის შეიარაღებული ძალების ნაწილებს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

კაირო. 14 სექტემბერი. (საკდესი). როგორც მენის საგენტოს ამბავი ეკრესპონდენტი იტყობინება, გუშინ იორდანიის მეფე ჰუსეინმა და პალესტინის გახთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

შეთანხმებაში ნათქვამია, რომ იორდანიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს იორდანიის შეიარაღებული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის სოლიდარობის უზრუნველსაყოფად. იორდანიის მთავრობა კისრულობს ვალდებულებას თავის ქვეყანაში ოკუპეთოს ყველა მოქმედება, რომლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენონს პალესტინის რევოლუციას ან ეროვნული ერთიანობის საქმეს.

თავის მხრივ, როგორც ეს ხელმოწერილი შეთანხმებიდან ჩანს, იორდანიაში მოქმედი პალესტინის წინააღმდეგობის ყველა ორგანიზაცია უნდა ასრულებდეს ვალდებულებებს, რომლებიც იორდანიის მთავრობის წინაშე იკისრა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა.

პალესტინის წინააღმდეგობის ძალებს ექნებათ ისეთივე უფლებები, როგორც იორდანიის შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ შეიარაღებული პარტიზანები, განსაკუთრებით დათქმული შეთხვევების გარდა, აღარ უნდა გამოჩნდნენ ქალაქების ქუჩებში.

გათვალისწინებულია სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელიც თვალყურს ადევნებს იორდანიაში ვითარების მოწესრიგებას. შესაბამისი ცვლილებანი [illegible] ნისტრი ბაჰა ლადაში.

იორდანიის მეფე ჰუსეინმა ხელმოწერის ცერემონიის დროს განაცხადა, რომ „ასეა განლაგებული ბალანსი, რომ ორივე [illegible] ...“

ლა-პასი

ბოლივიის მოსავრების გადაწყვეტილება

ლა-პასი. 14 ოქტომბერი. (საკდესი). ბოლივიის ახალი მთავრობის ხსდომა. მთავრობა ამას წინათ შექმნა ამ ქვეყნის პრეზიდენტმა გენერალმა ხუან ხოსე ტორესმა. მთავრობამ გადაწყვიტა გააუქმოს ორი ანტიხალხური დეკრეტი, რომლებიც 10 სექტემბერს მიიღო ოვანდო კანდიას მთავრობამ და, რომლებმაც მტკიცე პროტესტი გამოიწვიეს ქვეყანაში. ეს არის დეკრეტი, რომ ბოლივიის მოქალაქეობა ჩამოერთვას პირებს, რომლებსაც ბრალად დასდეს ეგრეთწოდებული „ძარგამომთხრელი საქმიანობა“ მთავრობის წინააღმდეგ, და დეკრეტი, რომლითაც „სისხლის სამართლის დანაშაულად“ მიიჩნევდნენ პოლიტიკური მოტივებით გამოცხადებულ შიმშილობას.

ბოლივიის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა ახალი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას.

ლონდონი

ფოტოსურათი ამხილებს

მინამატის ტრაგედია

იაპონიის სამრეწველო ქალაქ მინამატის 50 ათასი მოსახლეობის უმრავლესობა განუკურნებელი სენით არის შეპყრობილი. ავადმყოფობა განსაკუთრებით ბავშვებს ერევა. ისინი ბრმები, ყრუ-მუნჯები, პარალიზებულები, დეფექტურები იბადებიან და ორ ათეულ წელს თუ ცოცხლობენ.

გაუგებარი ავადმყოფობის პირველი სიმპტომები მოზრდილ მოსახლეობაში ოცეოდე წლის წინათ იქნა შემჩნეული, მაგრამ მხოლოდ 1956 წელს გეომართა მთავრობის კომისია ადგილზე მივიდა ამჟამად დაპატიმრებული არიან.

ბანაკში მოხვედრის პირველი დღეებიდანვე წვევამდელთა ინდივიდუალობა მიწასთან იყო გასწორებული. მათ სახელიც კი არ შეარჩინეს. კატორღელივით მხოლოდ ნომერი გამოხატავს მეზღვაურის პიროვნებას. მეზღვაური ვალდებულია ჩინით მასზე უფროსს მხოლოდ მესამე პირში მიმართოს: „წვევამდელი ნომერი ესა და ეს ბრძანდა, ხერ...“

ჯოჯოხეთი რა არის, ისიც კი მონაგონია იმ „წვრთნასთან“, რასაც შედარებით ურჩებს უწყობენ „სპეციალური წვრთნის განყოფილებაში“. აქ მოსახვედრად საჭირო როდია მეამბოხე იყო. საკმარისია პირადი მეს მინიმალური გამოვლინება, რომ წამსვე ამ თავისებურ ბაუტჩასტში გიკრავენ თავს. წინასწარ მოფიქრებული ადამიანის დამამცირებელი მთელი რიტუალი იმით მთავრდება, რომ დასჯილი უთენია უნდა გეემართოს

ასე ამზადებენ მკვლელებს

თხრობენ წვევამდელ ტედ ბეარის სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის ამბავს. ჟურნალისტების ვიზიტისას ტედსა და ოცეულში მის მეგობრებს კუნძულ პარისზე სამსახურის 48 საათი შეუბრუნდათ — 48 უძილო საათი. თავვადაპარსულებს, თოთინებიდან გამოსულებს, სამხედრო აღჭურვილობით გატენილი მძიმე ჩანთებითა და იარაღით წყლმა-ჯუჯამ ნარბენებს, ოფლსა და ჟანჟყში მოსვრილებს ადამიანის სახე დაკარგული ჰქონდათ.

წვრთნისას ერთ-ერთმა არაქათგამოლეულმა ახალგაზრდამ წაიფორხილა და დაეცა. წაქცეულს თვალები სივრცეში მკვარივით გაუშტერდა. სერჟანტი რამდენიმე ნახტომით დაეცხო თავს გულწასულს. გამხეცებული სერჟანტის თვალების გადმოცვენას ბუდეებიდან ბლარაფერი აკლდა. ღრიალი დაეინგამ შეიკვალა, დაეინეგა — გინებამ, გინება — წყისლებმა. ბოლოს, როგორც იქნა, გაავეულმა ემოციები დაიცხრო, საველე ჩანთა გაისწორა და თავისიანებისაკენ გაიქცა.

სანარელი სურათისაგან ტალი ეცდად გახდა ალეიც აერია. კონვულსიებით შეპყრობილსა და მიტკალიკივით გაფითრებულს „მწვრთნელები“ მწიერი ვირთაგვებივით შემოეხვიენენ.

— აქ რა გასართობი დაწესებულება ჰგონია ამ ცხოველს? — დაიღრიალა ერთ-ერთმა.

— დარწმუნებული ვარ ჰომოსექსუალისტი იქნება, — ჩაიცინა მეორემ.

— ან იქნებ მემარცხენეა, ჰა? — დაუმატა მესამემ.

— ოჰ, შე ნაბიჭვარო, — შეაგინა ასლომდგომმა სერჟანტმა. შემდეგ პირიდან სიგარეტი გამოიღო. — ეი, შენ, ცხოველო, — გააგრძელა მანვე — ახლავე საკუთარი ხელით მოიწმინდე ეგ უმსგავსობა და სანაგვეში გადაუძახე, გესმის? ტედმა ხმა არ გასცა. იგი ძლივს იდგა ფეხზე, ოფლად იღვრებოდა, ცრემლები და ჯუჭის შიგთავსი ერთმანეთში არეულიყო მოცახცახე ნიკაპზე.

— შენ, ეი, გაიგე, რაც გითხარი?

— იერიალა სერჟანტმა.

— დიახ, სერ, — წაიჩურჩულა ხელქვეითმა.

— არ მესმის, — კბილებში გამოცრა სერჟანტმა.

— დიახ, სერ.

— ხმამაღლა!

— დიახ, სერ! ხმას აუწია ხელქვეითმა.

— უფრო ხმამაღლა!

— დიახ, სერ! — თავს ძალა დაატანა და იყვირა მისუსტებულმა მეზღვაურმა. ოცეული ბარაკებს მიუახლოვდა. აქ ადრე მოსული წვევამდელები ვარჯიშობდნენ. ღრიალითა და გინებით სახეგაწითლებული სერჟანტები მანამდე იძლეოდნენ ბრძანებებს, სანამ არაქათგამოცლილ ჯარისკაცებს მუხლები არ უმტკუნებდათ და მტვერში პირქვე არ ჩაემხობოდნენ.

ბანაკში მოხვედრის პირველი დღეებიდანვე წვევამდელთა ინდივიდუალობა მიწასთან იყო გასწორებული. მათ სახელიც კი არ შეარჩინეს. კატორღელივით მხოლოდ ნომერი გამოხატავს მეზღვაურის პიროვნებას. მეზღვაური ვალდებულია ჩინით მასზე უფროსს მხოლოდ მესამე პირში მიმართოს: „წვევამდელი ნომერი ესა და ეს ბრძანდა, ხერ...“

ჯოჯოხეთი რა არის, ისიც კი მონაგონია იმ „წვრთნასთან“, რასაც შედარებით ურჩებს უწყობენ „სპეციალური წვრთნის განყოფილებაში“. აქ მოსახვედრად საჭირო როდია მეამბოხე იყო. საკმარისია პირადი მეს მინიმალური გამოვლინება, რომ წამსვე ამ თავისებურ ბაუტჩასტში გიკრავენ თავს. წინასწარ მოფიქრებული ადამიანის დამამცირებელი მთელი რიტუალი იმით მთავრდება, რომ დასჯილი უთენია უნდა გეემართოს

ბარაკებიდან თხუთმეტი მილის დაშორებით მდებარე დაღუპული მეზღვაურის მემორიალურ საფლავთან, იდგეს იქ საღამომდე, მაგრამ არაფრე და არაფეზე არ უნდა შეხედოს იქვე აღმართულ „სტარზს ენდ სტრაიპს“ — ვარსკვლავ-ზოლებიან დროშას. „იგი არ არის ღირსი თვალი გაუსწოროს დროშას, რისთვისაც დაეცა მეზღვაური“, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ასეთი მეთოდის შემდეგ წვევამდელს შეუძლია დაბრუნდეს უკან და განაგრძოს თანამეგობრებთან ჩვეულებრივი წვრთნა.

„საინფილტრაციო ვარჯიშობანი“ — დელიკატურად შენიღბული ამ ტერმინით წვევამდელები ყვინთავენ დამყაყებულ წყალში, დაძვრებიან ეკლიანი მავთულის ქვეშ, დახოხავენ ჭაობებში და ხმის ჩახლეჩამდე გაპყვირიან — „სამხედრო სამსახური, ვაშა! საზღვაო სამსახური — ვაშა! საზღვაო სამსახური — ვაშა!“ — ეი ამგვარად იფილტრებიან საზარბაზნე ხორცად გადაქცეული ეს ამერიკელი ახალგაზრდები.

კუნძულ პარისის სანხედრო საპყრობილის უფროსმა ჯენერალ-მაიორმა ოსკარ პიტერსმა ჟურნალისტების წინაშე ამაყად განაცხადა: „ჩვენ, მეზღვაურები, ბრის საოლად ვთვლით თავს. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი შრომის ნაყოფით, რის დეფექტრაციაც ყოველდღე ხდება ჩვენ-ამში. აი იქ, ბრძოლის ველზე მტკიცდება, თუ რას ნიშნავს ატარებდე მეზღვაურის — ერის ელიტის სახელს“.

შესცქეროდა რა წყალში ერთიანად გალუმპულ წვევამდელებს, რომელნიც განაგრძობდნენ „საინფილტრაციო კურსს“, „შტერნის“ კორესპონდენტმა „სპეციალური წვრთნის განყოფილების“ უფროსს მაიორ მორფს ჰკითხა, გრძნობს თუ არა იგი სინდისურ მეზღვაურებისადმი მათი ატანილი მდგომარეობის გამო.

— რასაკვირველია, არა. ჩვენ არა გვაღელვა სინდისურებისათვის, — მოკლედ მოუჭრა მაიორმა.

— არ გაგიჩნია სინდისური წვევამდელებისადმი, რომელთაც ენერგიის მინიმუმიც ალარ შერჩათ და ფეხზე ვეღარ დგანან? — განაგრძორა გაკვირვებულმა ჟურნალისტმა.

— გიმეორებთ, რომ არა. თუ წვევამდელს ჩვენი წვრთნის სისტემამ ცოტათი მაინც არ ავნო და არ შეაწუხა, ესე იგი როდი კარგი,— შემდეგ კორესპონდენტს „უტაქტო“ შეკითხვით აშკარად უკმაყოფილომ დაუმატა: — მე ვფიქრობ გერმანელებმა იციან ეს. მათ ჰყავდათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო არმია, მაგრამ აბა რა გამოვიდა აქედან? სიმაკაცრე! სიმაკაცრე!, სიმკაცრე! ეი რა უნდა ჭეშდეს ლოზუნგად, თუ გინდა წარმატებას მიაღწიო არმიაში. წვრთნის დროს არ უნდა არსებობდეს მომენტი, რომ არ გრძნობდე ტანჯვას. აი ამას ჰქვია სისტემა.

სერჟანტმა ველეირმა, ჩოფურამ, რომელსაც ზედეტ სახელად „ავს“ ეძახდნენ, განაცხადა: „უნდა გაიგოთ, რომ ჩვენი ვალია ბამომრეცხოთ ყველა ეს ამერიკელ ბავშვებს! ყველა ეს ახალგაზრდა და მისთანანი, უკლებლივ ყველა, ბანაკში მოსვლამდე უნებისყოფო კაცუნებს წარმოადგენდნენ. სწორედ აქ ყალიბდება მათში ჭრძნობა, რომ რაღაცას აკეთებ საამბოხოსათვის. ჟულჩვილობა მემარცხენეთა მხრივაც საკმარისია. მე ჭუულს მორეკავ მათ ყოველგვარი ცდა უფსკრულში გადაჩეხონ ჩვენი ქვეყანა...“ სერჟანტი მიბრუნდა და ყველა ვამდელს ჩვენი წვრთნის სისტემამ ცოტათი მაინც არ ავნო და არ შეაწუხა, ესე იგი როდია კარგი,— შემდეგ კორესპონდენტს „უტაქტო“ შეკითხვით აშკარად უკმაყოფილომ დაუმატა: — მე ვფიქრობ გერმანელებმა იციან ეს. მათ ჰყავდათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო არმია, მაგრამ აბა რა გამოვიდა აქედან? სიმაკაცრე! სიმაკაცრე!, სიმკაცრე! ეი რა უნდა ჭეშდეს ლოზუნგად, თუ გინდა წარმატებას მიაღწიო არმიაში. წვრთნის დროს არ უნდა არსებობდეს მომენტი, რომ არ გრძნობდე ტანჯვას. აი ამას ჰქვია სისტემა.

სერჟანტმა ველეირმა, ჩოფურამ, რომელსაც ზედეტ სახელად „ავს“ ეძახდნენ, განაცხადა: „უნდა გაიგოთ, რომ ჩვენი ვალია ბამომრეცხოთ ყველა ეს ამერიკელ ბავშვებს! ყველა ეს ახალგაზრდა და მისთანანი, უკლებლივ ყველა, ბანაკში მოსვლამდე უნებისყოფო კაცუნებს წარმოადგენდნენ. სწორედ აქ ყალიბდება მათში ჭრძნობა, რომ რაღაცას აკეთებ საამბოხოსათვის. ჟულჩვილობა მემარცხენეთა მხრივაც საკმარისია. მე ჭუულს მორეკავ მათ ყოველგვარი ცდა უფსკრულში გადაჩეხონ ჩვენი ქვეყანა...“ სერჟანტი მიბრუნდა და ბოლოს ოქრო, როგორც კერძომესაკუთრული სამყაროს საზომი.

კინოოპერატორი იმ ზნე-ჩვეულებების მსხვერპლი გახდა, ასე თავისუფლად, ყოველი ჭერილმანით რომ აბასებენ კინოსურათებში, რომლებითაც ავსებენ ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრების ეკრანებს.

ვაშინგტონი

ფინასაარჩევნო დაპირებანი

ვაშინგტონი. 13 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი მოგზაურობას ამთავრებს თავის ქვეყანაში კონგრესის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ეს არჩევნები 3 ნოემბერს გაიმართება. ამერიკელ ამომრჩეველთა ფინანსურ მისი გამოსვლები შეიცავს ჩვეულებრივ ფინანსაარჩევნო დაპირებებს.

მაგალითად, გუშინ ჰარტფორდში (კონეტიკუტის შტატი) გამოსვლისას ნიქსონი დაპირდა ამომრჩეველებს, რომ მიმდინარე წლის დამლევისათვის სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანს 40 ათას ამერიკელ ჯარისკაცსა და ოფიცერს. იგი ცდილობდა ეს ღონისძიება წარმოედგინა „ახალ ნაბიჯად“, თუმცა, როგორც საინფორმაციო საგენტოები აღნიშნავენ, იგი მხოლოდ მცირე ნაწილია ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში მთავრობის იმ დაპირებისა, რომ ამერიკის ჯარების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში 150 ათასი კაცით შეამციროს. როგორც ჩანს, ვაშინგტონი სრულებითაც არ ჩქარობს ამ დაპირების შესრულებას. ნიქსონმა თქვა, რომ ჯარების გათვალისწინებული გაყვანის შემდეგ, სამხრეთ ვიეტნამში დარჩება 344 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ამერიკელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით პენტაგონის ბიუჯეტი მიმდინარე წელს სინამდვილეში გადააჭარბებს 78 მილიარდ დოლარს.

ლეირდს სამხედრო ასიგნებათა ეს უზარმაზარი თანხა „საკმარისად არ მიაჩნია“. მან განაცხადა, რომ პენტაგონი „ძალ-ღონეს არ დაიშურებს“, რათა სამხედრო ბიუჯეტი კიდევ 2 მილიარდი დოლარით გაადიდოს.

ჩვეულებრივ, სამხედრო ასიგნებათა ახალი გადიდების გამართლების მიზნით პენტაგონის მეთაურმა გაიმეორა გაცვეთილი აზრები რაღაც „საბჭოთა მუქარის“ შესახებ.

უცხოური კრესის ფურცლებზე

კომენტარი • ქრონიკა

„მადიარ ჰირლა

მასპინძელია საქართველო

ᲓᲦᲔᲡ, 15 ოქტომბერს ჩვენს რესპუბლიკაში იწყება იტალიური კულტურის კვირეული, რომლის ორგანიზატორები არიან „სსრკ კავშირ-იტალიის“ საზოგადოება, ამ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება.

კვირეულში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვა „იტალია-სსრკ“ საზოგადოების დელეგაცია ცნობილი იტალიელი მწერლის, იტალიის მწერალთა სინდიკატის ვიცე-პრეზიდენტის, სენატორ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲩᲘᲚᲘᲡ მეთაურობით.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ᲒᲘᲕᲘ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ და სთხოვა მკითხველებისათვის გაეცნო, თუ როგორ იქნება წარმოდგენილი იტალიის კულტურა, ხელოვნება, სად რა ღონისძიებები გაიმართება ამ საყურადღებო მოვლენასთან დაკავშირებით.

— **ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ** წლებში — თქვა გ. მელაძემ, — ღღითიდღე ვითარდება საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობა. დელეგაციების გაცვლა, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა მოგზაურობა ორივე ქვეყანაში, გამოფენების მოწყობა თუ მსახიობების გასტროლები ხელს უწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, მიმდინარე წლის **თებერვალში იტალიაში, სიცილიის დედაქალაქ პალერმოში წარმატებით გაიმართა საბჭოთა კავშირის კვირეული — ჩვენი რესპუბლიკის დღეები.** იტალიის ესტეტრნენ ქართველი მეცნიერები, კულტურის, ხელოვნების მუშაკები, ოფიციალური დელეგაცია. მათ ჰქონდათ მეტად საინტერესო და სასარგებლო შეხვედრები იტალიელ მეგობრებთან. იტალიელებს, კერძოდ სიცილიელებს გაეცნენ საბჭოთა საქართველოს მიღწევები, მისი კულტურა, ხელოვნება, პალერმოში მოეწყო ქართული წიგნის, გამოყენებითი ხელოვნების, ბავშვთა ნახატების გამოფენები, იტალიელები გაეცნენ ქართულ მუსიკასა და კინოფილმებს.

ამჟამად კი **საბჭოთა კავშირში ეწყობა იტალიის კულტურის კვირეული,** რომელიც ტარდება მოსკოვსა და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში.

ახლა გაგაცნობთ კვირეულის პროგრამას.

დღეს **15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** თბილისში ჩამოვლენ იტალიის კულტურის დღეებში მონაწილე დელეგაციის წევრები. ამავე დღეს კინოთეატრ „ამირანში“ საზეიმოდ გაიხსნება იტალიური კინოფილმების ფესტივალი, რომელიც გაიმართება აგრეთვე სოხუმსა და ბათუმში.

16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოეწყობა იტალიელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენას გახსნის მუზეუმის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი. იმავე დღეს საღამოს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება **იტალიური კულტურის კვირეულის ოფიციალური გახსნა.** საღამოზე საბჭოთა ხალხსა და იტალიელ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის შესახებ მოხსენებით გამოვა „სსრკ-იტალია“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე მწერალი ვლ. მაჭავარიანი. შემდეგ გაიმართება ქართველი მსახიობებისა და მუსიკოსების შესრულებით იტალიური მუსიკის კონცერტი.

ვფიქრობთ, თბილისელები ინტერესით შეხვდებიან იტალიელ ბავშვთა მხატვრობას. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში **17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** გაიხსნება იტალიელ ბავშვთა ნახატების გამოფენა, რომელიც კვირეულის დღეებისათვის არის გამოგზავნილი. გამოფენის გახსნის საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

იტალიის **კულტურის** დღეებში თბილისის **ზ.** ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილი იქნება იტალიელ კომპოზიტორთა ოპერები, რომლებსაც დაესწრებიან ჩვენი იტალიელი სტუმრები.

იტალიელ სტუმრებს შეხვედრები ექნებათ ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან, ხელოვნების, კულტურის მოღვაწეებთან. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართება სტუდენტების შეხვედრა იტალიის დელეგაციის წევრებთან. შეხვედრის შემდეგ სტუდენტები მათ უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას.

იტალიელი სტუმრები დათვალიერებენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრებიან შამპანური ღვინოების კომბინატსა და თბილისის ჩაის გადამწყნარ ფაბრიკას, გაემგზავრებიან მცხეთაში ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად. ესტუმრებიან ქ. სიღნაღს. აქ გაიმართება შეხვედრა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან. ესტუმრებიან აგრეთვე ქ. რუსთავს, მეტალურგიული ქარხნის მუშებს.

იტალიური კულტურის დღეებისათვის მეტად საინტერესო და ფართო პროგრამა შეიმუშავეს **საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა.** 15-20 ოქტომბერს საქართველოს რადიომსმენელები და ტელემაყურებლები მოუსმენენ ვერდის, როსინის, დონიცეტის, პუჩინის ოპერების ნაწყვეტებს, ვოკალური ხელოვნების მოყვარულები მოუსმენენ ტიტო გობის, მარია კალასისა და სხვა სახელგანთქმული იტალიელი მომღერლების კონცერტებს.

საინტერესო გადაცემებს გვთავაზობს საქართველოს ტელევიზია—მოეწყობა გადაცემა იტალიის ღირსშესანიშნაობათა შესახებ, საოპერო ხელოვნების მოყვარულნი ნახავენ გადაცემებს „ძღერიან ლა-სკალას, სოლისტები“, ნაჩვენები იქნება აგრეთვე გადაცემები „იტალიის ესტრადის მსახიობები“, „იტალიის კინოს ოსტატები“ და სხვ.

20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ჩვენს რესპუბლიკაში დამთავრდება იტალიის კვირეული და დელეგაცია გაემგზავრება მოსკოვში.

ინტერვიუს დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს წარმომადგენლები გულთბილად და დიდი სიყვარულით მიიღეს იტალიაში, ჩვენც ასევე შეეგებებით მეგობრულად გავუმასპინძლდეთ იტალიელი ხალხის წარმომადგენლებს. **გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ასეთი შეხვედრები, კონტაქტები ხელს შეუწყობს ჩვენს ორ ხალხს შორის ურთიერთობისა და მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.**

ᲠᲔᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. კრასნოდარის „ᲣᲑᲐᲜᲘ“ მოუგო თბილისის „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ანგარიშით 2:1.

● „Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ მეორე ზონის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო შეჯიბრების მორიგ ტურში, რომელიც 12 ოქტომბრის შედეგა, მახარაძის „მერკურიმ“ დამარცხა სარანსკის „სპარტაკი“ 1:0, ლენინგრადის „ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ“ — ტამბოვის „სპარტაკი“ 4:1, ვინნის „სოლორმა“ — ბელაია კალიტვას „ორბიტა“ 1:0, ეისკის „ტორპედომ“ — რუსთავის „მეტალურგი“ 2:0.

● ᲓᲦᲔᲡ შედგება საკავშირო პირველობის მორიგი ტურის ორი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ საკუთარ მოედანზე შეხვდება ვორონეჟელ „ᲕᲐᲠᲐᲡᲘᲡ“. დონის როსტოვში ითამაშებენ არმიის სასპორტო კლუბისა და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდები.

● **ᲙᲘᲔᲕᲘᲡ** „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. მასლოვის ნაცვლად, რომელიც პენსიაზე გავიდა, დანიშნულია ვ. ტერენტიევი.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა უღირსი საქციელის გამო თავისი რიგებიდან გარიცხა პროსკურინი, რომელიც შინ — ვორონეჟში წავიდა.

● **ᲨᲐᲨᲘ.** დღეს ჩვენი ქვეყნის ხუთ ქალაქში 64 და 100-უჯრედიანი დაფის ოსტატები შეუდგებიან ბრძოლას ოქროს მედლების მოსაპოვებლად რუსულ და საერთაშორისო შაშში. ქალთა ახპარეზობა ტარასპოლში შედგება. ეს იქნება მეთოთხმეტე პირველობა, რომელშიც, გარდა გასული წლის ჩემპიონისა ე. მიხაილოვსკაიასი, მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების 16 წარმომადგენელი.

● **ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ.** სსრ კავშირის ნაკრები მაგიდის ჩოგბურთში ჩაება ევროპის ლიგის პირველობის გათამაშებაში. სტარტი ჩვენი ჩოგბურთელებისათვის არასახარბიელო აღმოჩნდა. მათ ბუდაპეშტში წააგეს შეხვედრა უნგრეთის გუნდთან დიდი ანგარიშით 0:7. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა გუნდმა ასეთ შეჯიბრებაში ორჯერ გაიმარჯვა, შარშან კი მეორე ადგილი დაიკავა. ევროპის 1970 წლის ჩემპიონმა ზოია როდნინამ წააგო შეხვედრა მეტატრინე კიშხიზისთან.

● **ᲢᲧᲕᲘᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ.** დამთავრდა თბილისის პირველობის გათამაშება ტყვიის სროლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება არმიის სასპორტო კლუბის მსროლელთა გუნდმა.

● **ᲠᲔᲒᲑᲘ.** ერევანში გრძელდება საკავშირო პირველობის ფინალური შეხვედრები რეგბიში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდებისათვის. აქ გამარჯვებული მომავალ წელს გამოვა უმაღლეს ლიგაში. ლიდერობას ციცვის „სპარტაკი“ ინარჩუნებს, რომელსაც 5 ქულა აქვს. თბილისის „დინამოს“ და ვილნიუსის გუნდს ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

მეცნიერის ხსოვნის საღამო

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა **ა. შანიძემ.** მოახსენება „პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა პროფესორმა **ი. შილაკაძემ.**

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღიზარდა თბილისში, აქ მიიღო განათლებაც. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი. მისი შრომები დაბეჭდილია ქართულ, სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. მისი გარდაცვალების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის სახელობის კაბინეტი...

საღამოზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ბარამძე, პროფესორები დ. კობიძე, ი. მევრელიძე, დ. შგელაძე, მ. ნოდია და ს. ჯიქია.

დასასრულ პროფესორმა ს. ჯორბენაძემ წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ილია ვეკუას ბრძანება, რომლითაც პროფესორ მელიქსეთ-ბეგის ოჯახს გამოეცხადა მადლობა. ამ ოჯახმა განსვენებულის მდიდარი ბიბლიოთეკიდან უნივერსიტეტს გადასცა 4.865 წიგნი. გამოცემული ქართულ, სომხურ, რუსულ და უცხოურ ენებზე. ამ წიგნებს შორის ბევრია უნიკალური გამოცემა.

Ო. ᲘᲐᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ №10

ᲑᲘᲕᲠᲘ საინტერესო მასალაა დაბეჭდილი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მე-10 ნომერში.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნება ბ. ᲑᲘᲠᲖᲣᲨᲘᲡ წერილი „ქვეყნის ახალი ქორნიკონი“ და Ი. ᲑᲐᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ისინი ჰიდდნენ გამარჯვებას“. ჟურნალში დაბეჭდილია მასალები ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავისათვის, აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავისათვის და სოციალისტური რუმინეთის 26-ე წლისთავის აღსანიშნავად, ხოლო Თ. ᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ სტატია „ᲗᲐᲥᲐᲠᲘᲐ ფალიაშვილი“ ეძღვნება დიდი კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავს (აღინიშნება 1971 წელს).

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ნ. ᲯᲐᲨᲘᲡ („ხელოვნების ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“), Ა. ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ („განვლილი თეატრალური წელი და ახალი სეზონის ამოცანები“), Ბ. ᲐᲯᲘᲜᲯᲐᲚᲘᲡ („დიდი ცხოვრების ფურცლები“), Ლ. ᲛᲘᲠᲩᲐᲫᲘᲡ („სცენური სახელის ძიებაში“), Თ. ᲛᲘᲠᲗᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Ა. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Ჰ. ᲨᲐᲛᲗᲐᲕᲐᲡ, Ო. ᲑᲐᲫᲐᲜᲘᲫᲘᲡ, ნ. ᲗᲕᲐᲣᲠᲘᲡ, ს. ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ წერილებს, Ო. ᲛᲔᲐᲫᲘᲡ „რუსულ დღიურს“ (ვოლგოგრადში თბილისის საოპერო თეატრის გასტროლების გამო), აგრეთვე სხვა მასალებს.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 10

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ **„საქართველოს სოფლის მეურნეობის“** მორიგი, მე-10 ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნებულია: **დ. ნიკურაძე** — ჩვენი საერთო საზრუნავი; **ნ. ცომაია** — რამდენიმე შენიშვნა; **გრ. ხელაია** — პროდუქტიულობის გაზრდის ძირითადი პირობა; **ქ. ᲑᲠᲐᲒᲕᲐᲫᲔ** — რეზერვების ძიებით; **გრ. ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ** — მინდვრის დიდი ლაბორატორია; **ნ. ᲪᲘᲪᲘᲪᲕᲐᲫᲔ, ვ. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ** — აფხაზეთის ვაზის სტანდარტული ასორტიმენტის სრულყოფისათვის; **თ. ᲬᲘᲥᲝᲫᲔ** — ხეხილის ხმობის მიზეზები საქართველოში; **ნ. ᲝᲐᲜᲗᲔᲚᲘ** — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები; **შ. ᲛᲘᲜᲯᲠᲗᲘᲐ** — საბჭოთა მეურნეობებში მატერიალური წახალისების ფონდის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის; **გ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — მექანიზაცია ხეხილისა და ვაზის მეურნეობაში — და სხვა საინტერესო მასალები.

ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚ სამსართულიან შენობაში დაიწყეს მეცადინეობა წელს ცხინვალის მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა და ცხინვალის მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტებმა.

მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის შენობაში განლაგებულია 40 სასწავლო კაბინეტი, 300 ადგილისათვის გათვალისწინებული საქმტო დარბაზი, ხმის ჩამწერი კაბინეტი. შენობა მთლიანად რადიოფიცირებულია.

მოსწავლეები და სტუდენტები აქ კვალიფიციური პედაგოგების ხელმძღვანელობით მეცადინეობენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პედაგოგი ლალი გოგინაშვილი ამეცადინებს მეოთხე კლასის მოსწავლეს თემურ ცხოვრებოვს.

ფოტო Ლ. ᲒᲣᲨᲣᲠᲘᲡᲐ. (საქფინის ფოტოქრონიკა).

ᲓᲦᲘᲗᲘᲗᲓᲦᲔ იზრდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლები. **ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ:** ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაუშის ერთ-ერთი ქუჩა. წინა პლანზეა ახლახან აშენებული სოფლის უნივერმაღი.

ფოტო ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.



ᲨᲔᲒᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: სამუშაოზე აღდგენის საქმის განხილვის დრო, რომელიც გაგრძელდა ერთი წელი, ჩამეთვლება თუ არა მუშაობის სტაჟში?

მ. ᲮᲣᲜᲯᲐᲫᲔ,
თბილისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: თუ უკანონოდ დათხოვნილი მუშაკი აღდგენილია თავის უფლებებში მას ეძლევა ამ დროის ჩათვლა მუშაობის სტაჟში.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მეუღლე მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მისი გარდაცვალების გამო მეკუთვნის თუ არა პენსია?

Თ. ᲒᲔᲠᲒᲔᲚᲘᲐ,
გულრიფშის რაიონი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც გარდაცვლილს ეკმაყოფაზე იყოფებოდნენ.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ერთი ქალაქის ფარგლებში მცხოვრებ ნათესავებს შეუძლიათ თუ არა საცხოვრებელი ბინების ურთიერთ გაცვლა?

Კ. ᲑᲐᲚᲐᲗᲣᲠᲘᲐ,
სოხუმი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობით მის მიერ დაქირავებული სადგომი გაუცვალოს სხვა საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს, მათ შორის ნათესაური კავშირის მიუხედავად. ამასთან საცხოვრებელი სადგომების გაცვლისათვის აუცილებელია აგრეთვე გამქირავებლის (სახლის პატრონის) თანხმობა.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: სახლის მესაკუთრეს ოჯახის წევრთა ოდენობის გაზრდის შემთხვევაში შეუძლია თუ არა მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის (მდგმურის) გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად?

Გ. ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: იმ შემთხვევაში, თუ სახლის მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს არა აქვთ საცხოვრებელი სადგომი ან აქვთ ისეთი ფართობი, რომელიც არასაკმარისია მათთვის ან საჭიროებენ საცხოვრებელ სადგომს სხვა პატივსაცემი მიზეზების გამო, სასამართლოს შეუძლია დამქირავებელი გამოასახლოს. დამქირავებლის გამოსახლება დაუშვებელია საცხოვრებელი სადგომის სხვა პირისათვის მიქირავების ან გაყიდვის მიზნით.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: გარდაცვალებული მშობლების ქონებას შვილები იღებენ თუ არა თანასწორ წილად?

Შ. ᲗᲐᲠᲯᲐᲫᲔ,
თბილისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: შვილები გარდაცვალებული მშობლების ქონებას მემკვიდრეობით იღებენ თანასწორ წილად, თუ შვილების ეს თანასწორუფლებიანობა ანდერძით არ არის შეცვლილი.

მშობელს შეუძლია მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს ერთ-ერთ შვილს, მაგრამ მშობელს არ შეუძლია შრომისუუნარო შვილს ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება. ასეთი შეილი ყველა შემთხვევაში იღებს იმ წილის არანაკლებ ორი მესამედისა, რომლის მიღება მას შეეძლო კანონით მემკვიდრეობის დროს.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მეზობლებს შორის წარმოშობილი დავა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამიჯვნის შესახებ შეიძლება თუ არა განიხილოს სასამართლომ?

Გ. ᲛᲚᲔᲒᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
თბილისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მეზობლებს შორის წარმოშობილ დავას საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიჯნების დაწესების შესახებ განიხილავს და გადაწყვეტს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო საცხოვრებელი სახლის თანამფლობელებს შორის წარმოშობილ დავას საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის შესახებ — სასამართლო მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: სასამართლოს 1964 წლის 27 მარტის განაჩენით მოსჯილი მაქვს სამი წლით პირობითი მსჯავრი, დღეისათვის ვითვლები თუ არა ნასამართლობის მქონე პირად?

Შ. ᲭᲔᲚᲘᲫᲔ,
ბოლნისი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: პირობით მსჯავრდებული პირი ნასამართლობის არამქონედ ითვლება, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მას არ ჩაუდენია ახალი დანაშაული.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ინსტიტუტმა მიიღო გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მათი მოსაზრებები ზოგიერთი გამოთქმისა თუ ტერმინის სმარების შესახებ სალიტერატურო ქართულში.

შევეცდებით ვუპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვაზე.

1. მსხარაძის რაიონის ანასეულის მცხოვრებს მ. ᲒᲝᲒᲝᲛᲫᲘᲡ არ მიაჩნია მართებულად, რომ „საქართველოში ძალიან დამკვიდრდა თანამედროობის და სხვა პირების მამის სახელის რუსულად მოხსენება. ასე, მაგალითად, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲘᲩᲘ, ᲓᲐᲕᲘᲓ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲩᲘᲡ და სხვ“. წერილის ავტორის წინადადებაა ვიხმაროთ ქართულად მიმართვისას ასე: ირაკლი დავითის-ძეს! დავით რომანის-ძეს!

რუსული სახელ-მამის სახელით მიმართვა უკანასკნელ ხანებში მართლაც გავრცელდა ჩვენში სასაუბრო მეტყველების დროს. როგორც ეს ფორმა, ისე ამისი ქართული თარგმანი, რომელსაც ამხანაგი მ. გოგოძე გვთავაზობს, მხოლოდ რუსულია და ქართულისათვის უცხოა, რამდენადაც მამის სახელით მიმართვა ქართულისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელი არ არის. ამიტომ არ უნდა ვიხმაროთ არც რუსული ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲘᲩᲘᲡ და არც მისი ქართული თარგმანი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ! არც მიმართვისას და არც როგორც წინადადების წევრი. ამათ სამაგიეროდ ქართულს მიმართვის სხვა საშუალებები და ფორმები ეოფივუბა. ეს ფორმებია: ᲐᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ! ᲐᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲠᲝᲛᲐᲜ! ᲞᲐᲢᲘᲪᲘᲔᲡᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ! ᲞᲐᲢᲘᲪᲘᲔᲡᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ! ᲒᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ! ᲒᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ!

ყველა ეს ფორმა მიმართვის პირისადმი პატივისცემას გამოხატავს და არც ერთი მათგანი არ არის ფამილიარული შინაარსისა.

სხვა საკითხია, როგორ უნდა ითარგმნოს დასახელებული რუსული ფორმები, როცა ისინი რუსულ მხატვრულ წარმოებებში გვხვდება და მათ ქართულად ვთარგმნით. ეს საკითხი ცალკე, სპეციალურად უნდა გადაწყდეს.

ამრიგად, ქართულად. მეტყველების დროს სახელით და მამის სახელით მიმართვა არც რუსულად და არც მისი ქართული თარგმანი დასაშვები არ არის.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ

ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ

ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲪᲘᲔᲡᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ